# ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა- ინფორმაციის ტექნოლოგიის  მხარდამჭერი სპეციალისტის მიმართულებით

# სარჩევი

შესავალი ----- ----- ------------------------------ გვ.3

კვლევის მიზნები ------------------------------ გვ. 3

კვლევის შედეგები----------------------------- გვ. 3-7

კვლევის ძირითადი მიგნებები------------ გვ.8

## შესავალი

იმისათვის, რომ ვუპასუხოთ ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებს, პერიოდულად ვატარებთ ადგილობრივი შრომის ბაზრის სექტორულ მოკვლევას . კოლეჯი ,,ერქვანი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერას'' ახორციელებს 2019 წლიდან.
რომ დაგვედგინა - ისევ არსებობს თუ არა მოთხოვნა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალისტის კადრებზე, კოლეჯმა 2024 წლის დეკემბერში ჩაატარა ადგილობრივი შრომის ბაზრის სექტორული მოკვლევა. გამოკითხვისთვის შეირჩნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც არიან დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმბებლები.

## კვლევის მიზნები

კვლევას ჰქონდა ორი მთავარი მიზანი:

1. ორგანიზაციებს აქვთ თუ არა ახალი კადრების საჭიროება ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალისტის პოზიციაზე (მოცემული მომენტისთვის)
2. ორგანიზაციების სამომავლო ხედვა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალისტის კადრების საჭიროებასთან დაკავშირებით .

ამასთან ერთად, კითხვარში შეტანილი იყო ისეთი კითხვები, რომ დაგვედგინა:

- როგორია ანაზღაურება ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალისტის პოზიციაზე;
- როგორ მოიძიებენ დამსაქმებლები საჭირო კადრებს;
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალისტის პოზიციაზე დასაქმებულებს აქვთ თუ არა შესაბამისი კვალიფიკაცია;

## კვლევის შედეგები

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 11 -მა ორგანიზაციამ. გამოკითხული ორგანიზაციებიდან ყველა არის საჯარო .




გამოკითხული ორგანიზაციებიდან , ორგანიზაციაში ყველას ყავს ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალისტი.




ორგანიზაციებში დასაქმებულ ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერ სპეციალისტებს უმრავლეს შემთხვევაში არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია.




გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობა საჭიროებს ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალისტის კვალიფიციურ კადრებს.




გამოკითხულ ორგანიზაციებში ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალიტის პოზიციაზე დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება განსხვავებულია.




გამოკითხული ორგანიზაციები საჭირო კადრების მოძიებისთვის,უფრო მეტად:

- ვაკანსიებს ათავსებენ დასაქმების საიტებზე;
- ასევე მიმართავენ პირად კონტაქტებს;




გამოკითხული ორგანიზაციებიდან უმრავლესობას მოცემული მომენტისთვის არ ესაჭიროება ინფორმაციის მხარდამჭერი სპეციალისტის კადრი.




რაოდენობრივი კვლევის თანახმად ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა ვარაუდობს, რომ სამომავლოდ დასჭირდება ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალისტის პოზიციაზე კვალიფიკაციური კადრები.




საჭირო კადრების რაოდენობას რაც შეეხება მოცემულია დიაგრამაზე:




## კვლევის ძირითადი მიგნებები

ჩატარებული კვლევის თანახმად გამოვლინდა რომ:

- მოცემული მომენტისთვის გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობას (7 ორგანიზაცია) -არ აქვს ახალი  ინფორმაციის ტენოლოგიის  მხარდამჭერი სპეციალისტის  საჭიროება . ხოლო ოთხ ორგანიზაციას აქვს ახალი კადრის საჭიროება;
- გამოკითხული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა 90 % (10 ორგანიზაცია )ფიქრობს, რომ სამომავლოდ დასჭირდებათ ახალი კადრები ინფორმაციის ტექნოლოგიის  მხარდამჭერი სპეციალისტის პოზიციაზე ;

მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ,რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე კვალიფიციური  ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი სპეციალისტის კადრებზე მოთხოვნა, მოცემული მომენტისთვის ,მეტნაკლებად არსებობს. აღსანიშნავია, რომ ეს  მოთხოვნა  გაიზრდება სამომავლო პერსპექტივაში, რომელიც შესაძლებელია გახდეს მზარდი, რადგანაც რეგიონში  ხდება ტურიზმის, განათლებისა და ბიზნესის განვითარება, რაც მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დანერგვასა და მომსახურებას.  გამომდინარე აქედან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა’’ განხორციელება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.